ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N312

ქალაქი ბათუმი 16 ოქტომბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ **„ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი **დირექტორის – ოთარ კალანდაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ერქ ტექსტილი გეორგია"** (ს/კ 202337015), წარმოდგენილი დირექტორის – აჰმეთ ბალთაჯის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N99 განკარგულების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია სპექტაკლ **„ხანუმა"**–სათვის ქსოვილის საქონლის მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (CPV 79900000).

1.2. მისაწოდებელი საქონლის ზუსტი დასახელება, რაოდენობა და ფასი განსაზღვრულია ფასების ცხრილით (დანართი N1).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **58.00 (ორმოცდათვრამეტი)** ლარს.

2.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასების ცხრილით (დანართი N1).

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის მისამართი.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

4.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან/და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ხელშეკრულების 4.3. პუნქტით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

6. გარანტია

6.1.მიმწოდებელი იძლევა მიწოდებული საქონელის საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1.შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1.ხელშეკრულება, შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.3. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1.ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი''
მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი 245 429 059
საბიუჯეტო სახსრები

ოთარ კალანდაძე

.....

შპს „ერქ ტექსტილი გეორგია"

ს/კ 202337015
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ,,ბაზის ბანკი"
საბანკო კოდი: CBASGE22
ა/ა: GE61BS 0000 0000 4643 6166

აჰმეთ ბალთაჯი

.....

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	წებოვანა	მეტრი	10	4.00	40.00
2	კოჭა ძაფი (შავი)	ცალი	3	6.00	18.00
	სულ ჯამი: 58.00 (ორმოცდათვრამეტი) ლარი				

სსიპ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი''
მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი 245 429 059

შპს „ერქ ტექსტილი გეორგია"

ს/კ 202337015
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ,,ბაზის ბანკი"
საბანკო კოდი: CBASGE22
ა/ა: GE61BS 0000 0000 4643 6166

ოთარ კალანდაძე

.....

ბათუმის ილიას ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
BATUMI ILIA CHAVCHAVADZE PROFESSIONAL DRAMA STATE THEATRE
245429059

აჰმეთ ბალთაჯი

.....

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

16 ოქტომბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, ჩვენ, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ მიერ **შპს „ერქ ტექსტილი გეორგია“–სთან** (ს/კ 202337015) 2019 წლის 16 ოქტომბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **N312** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი /ო. კალანდაძე/

იურისტი /გ. სურმანიძე/